გორისმუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება № 147

2022 წლის 12 აგვისტო
ქალაქი გორი

გორის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების (ს.კ. 66.52.17.001), პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლო უზუფრუქტის ხელშეკრულებით, საქართველოს საპატრიარქოსთვის (204395537) სარგებლობის უფლებით გადაცემასთან დაკავშირებით თანხმობის მიცემის შესახებ

საქართველოს საპატრიარქოს გორისა და ატენის ეპარქია 2022 წლის 31 მარტის N667 წერილის შესაბამისად, ითხოვს გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვემო არცევში, მდებარე 748.00 კვ.მ. სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის ს/კ 66.52.17.001 და მასზე განთავსებული 80.30 კვ.მ. შენობა-ნაგებობის სარგებლობაში გადაცემას, სადაც შემდგომში გეგმავენ, ქონების საგანმანათლებლო მიზნით გამოყენებას.

გორის მუნიციპალიტეტის მერიასა და გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიზანშეწონილად მიაჩნია, უსასყიდლო უზუფრუქტის ხელშეკრულებით, საქართველოს საპატრიარქოს (ს/ნ 204395537) სარგებლობაში გადაეცეს გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვემო არცევში, მდებარე 748.00 კვ.მ. სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი ს/კ 66.52.17.001 და მასზე განთავსებული 80.30 კვ.მ. შენობა-ნაგებობა.

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტების, 122 მუხლის 1-ლი პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის, მე-4 და მე-6 პუნქტების შესაბამისად გორის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ა დ გ ე ნ ს:**

1.მიეცეს თანხმობა გორის მუნიციპალიტეტის მერს, სარგებლობის უფლებით, უსასყიდლო უზუფრუქტის ხელშეკრულებით, უვადოდ, გადასცეს საქართველოს საპატრიარქოს (204395537), გორის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონება, კერძოდ, გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვემო არცევში, მდებარე 748.00 კვ.მ. სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი ს/კ 66.52.17.001 და მასზე განთავსებული 80.30 კვ.მ. შენობა-ნაგება. ქონების გამოყენება მოხდება საგანმანათლებლო მიზნისთვის.

2.განკარგულება ძალაში შედის ხელმოწერისთანავე;

3. განკარგულების გასაჩივრება შესაძლებელია დაინტერესებული პირის მიერ მისი გაცნობის დღიდან ერთი თვის განმავლობაში სარჩელის წარდგენის გზით გორის რაიონულ სასამართლოში (მისამართი გორი, ჯორბენაძის ქ. №30).

საკრებულოს თავმჯდომარე **დავით რაზმაძე**